

# საბრძოლო

სპორტული გაზეთი

პარასკევი 26 მარტი 1999 №54 (827)

ფასი 1 ლარი

## უტყუაბოდ და უფოცხვერიოდ?

არჩილის არგელაძის თამაში გამორიცხვლია, შოთა არგელაძის და ფოცხვერიასი — სათუო. გუშინ კი დიღმის ბაზაზე ქეცბაია და ლანდი გამოჩნდნენ

## ლეონიდ ბურიაკი კმელზე და ახალზე:



ყიფიანი, დარასელია, შენგელია ჩემი საუკეთესო პარტნიორები იყვნენ

## კატანეცს ულიბროობა აფიქრებს

ჩვენი სახვალეო მეტოქის თბილისში ნაწვევ მოთამაშეთა წარდგენა

## მეორე 2000

მარტის ბოლოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი განახლდება



## ნერეო როკოს გუნდი



## მოსეუვილი დათიკაუვილს:

მოდე, მუშტი-კრიფში ვნახოთ, ვინ რა ბიჭია!



მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩი. 28 მარტი. თბილისი. ეროვნული. 16 საათი



## საქართველო — ტონგა რა საქართველო აქვთ ქართველებს და ტონგელებს?



ირაკლი ნიკოლაძის ფოტო


საქართველოს ნაკრების წევრებსა და მათ ფრანგ კონსულტანტ კლოდ სორელს საგარეოში მოედნის ძიებაში ღობეებში ძრომა დასჭირდათ

ტონგის ეროვნული გუნდი, რომელსაც ზევ საქართველოს ნაკრებთან მოუწევს ჭიდილი მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩში, გუშინ თბილისს ესტუმრა. სამი კვირის წინ იყო, ტონგური მასმედია მათ ქვეყანაში ქართველ მორაგბეთა მარცხის ამბავს რომ ამცნობდა მთელ დუნაას, ასიათასიანმა ტონგამ ხუთი მილიონი მცხოვრებით გათამამებული ერი საქვეყნოდ შეარცხვინა და მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრი გზიდან ჩამოიცილა. რა გათამამებულებიც ვართ ცხოვრებისგან, ჩვენზე უკეთ ვინ უწყის? როგორც ირკვევა, ქართველებს და

ტონგელებს ბევრი საერთო აქვთ. არა, შორეული წარსული აქ არაფერ შუაშია. ისევე, როგორც ჩვენთან, იქაც ფინანსური და ეკონომიკური კრიზისია (მაგრამ არა ენერგოკრიზისი). ბორჯღალოსნებისა არ იყოს, „იკალე ტაპიც“ (ტონგის ეროვნულ ნაკრებს ჰქვია) სპონსორების ნაკლებობას, უფრო ზუსტად კი, არყოლას უჩივის. ქართველ მორაგბეებს საკუთარი სტადიონი არ აქვთ. ტონგელებს ეს პრობლემა არ აწუხებთ, მაგრამ საგარეოში ფორმა გახდომით სანატრელი — ამჟამად სამხრეთაფრიკულ კლუბ „ფალკონის“ მიერ ნაბოძები მაისურე-

ბით ვარჯიშობენ. ორივე ნაკრებს უცხოელი კონსულტანტები ჰყავს — ქართველებს ფრანგი კლოდ სორელი, ტონგელებს გააფრიკელი. ბული ახალზელანდიელი დეივ ვატერსტონი. და კიდევ: ქართველთა და ტონგელთა სამი კვირის წინანდელი ჩვენთვის ავადმოსაგონარი და ზვეინდელი მატჩი აკავშირებთ. ახლა უნდა დაამტკიცონ რჩეულმა ქართველმა მორაგბეებმა, რომ არც შერცხვენილები არიან და არც მსოფლიოს თასზე მათი თამაშია უიმედო ამბავი.


იხილეთ მეთორმეტე შეცამეტე გვერდები



ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IV ტური.

## საქართველო — სლოვენია

27 მარტი. თბილისი. ეროვნული. 20 საათი




## ფედერაციაში ჯიბეზე ხელი გაიკრა სლოვენიალებს პირადი დანაზოგებით და «ეარ ჯორჯიას» შენავნით ვუმასპინძლებთო

ყაღა დადებულია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიში გაყინულია. ფედერაცია უუფლებოა ყაღალის მოხსნამდე რაიმე ფინანსური ოპერაცია აწარმოოს. ახალ ფედერაციას, ძველის ცოდვებმა უწია. თან რა დროს, ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევი მატჩამდე სამი დღით ადრე. ქართული ფეხბურთის დიდმოხელენი დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფ-

როსობას გუშინ უნდა შეხვედროდნენ და შელაგათი ეთხოვათ. თუმცა, როგორც ამ ინსტანციის უფროსის მოადგილემ ალექო ალავეიმ გვაცნობა, მოლაპარკება არ შედგა. ანგარიში ისევ გაყინულია. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარამ ალავეიმის ნათქვამი, ცხადია, დაადუსტურა, თუმცა მაინც გვანუგვმა. ფედერაციის ზოგიერთი თანაშრომლის პირადი

დანაზოგებითა და ავიაკომპანია „ეარ ჯორჯიას“ შეწყვენილ სლოვენელთა მასპინძლობისთვის საჭირო თანხა მოგროვებულა და შევიძლიათ ჩათვალთ, რომ ზვალ 8 საათზე, ეროვნულ სტადიონზე შესარჩევი მატჩი ჩატარდება. დიდუბის საგადასახადო ინსპექციისა და ფედერაციის მუშაკები კი ერთმანეთს დღეს მაინც შეხვდებიან.

კობა ინასარიძე



# ლანდი ბაზაზე

სპალ, 8 საათზე, ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მეტად მნიშვნელოვანი, პრინციპული მატჩი დაიწყო. ჩვენებურებმა სლოვენელებს უნდა უმასპინძლონ. სხვა გზა არ არის — საქართველომ უნდა გაიმარჯვოს. სხვა შემთხვევაში ეროვნული გუნდი უფუნქციოდ რჩება. წაგება, თუნდაც ფრე, ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვედრას ნიშნავს. ყოველივე ეს ნაკრებმაც კარგად იცის, გულშემატივარმაც.

საქართველოს ეროვნულ გუნდს ხვალინდელ მატჩამდე ორი ვარჯიში დადარჩა. დღეს დილით და საღამოს ისევ დილმის საწვრთნელ ბაზაზე. ვლადიმერ გუცაევმა ესლა უნდა იკმაროს, დღეს ღამით, ალბათ, შემადგენლობასაც საბოლოოდ დაზუსტებს.

თუმცა კი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, ხვალ მიხეილ ფოცხვერია ვერ ითამაშებს. საქმე ისაა, რომ მწვრთნელები შიშობენ, მიშა შეხვედრის დაწყებისთანავე შესაცვლელი არ გახლეს. ექიმების თქმით, ღმერთმა იცის, თავდამსხმელს მუხლი როდის უშტყუნებს. შესაძლოა, ორი თვე არაფერი ეტკინოს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ფოცხვერიას მუხლი მსაჯის სასტვენისთანავე შეუბრუნდეს. აქედან გამომდინარე, მწვრთნელები მოულოდნელ შეცვლას ერიდებიან.

თითქმის გადაწყვეტილია სოსო გრიშკაშვილის თამაშიც. ის დღესდღეობით ყველაზე კარგ ფორმაშია.

თავდასხმაში, სავარაუდოდ, გიორგი დემეტრაძეს ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშია შეეწყვილება. შოთა არველაძეს გუშინწინ დაჭიმული კუნთი დღემდე ვერ მოუშუშებია. გუშინდელი ვარჯიშისას შოთამ მინდორზე სულ 15-20 წუთს დაჰყო, ფეხს უფრთხილდებოდა.

უკანა და შუა ხაზისთვის კი ფეხბურთელებს მხოლოდ ბევრი ფიჭრის შემდეგ თუ შეარჩევს გუცაევი. ჯამარაული, ნემსაძე, კობიაშვილი, კალაძე, ბალაშვილი, ალბათ, ითამაშებენ, სხვათა ამბავია საკითხავი. ისე კი გუცაევი ჩვეულ 4-4-2 არ უღალატებს და სლოვენელებთან მრისხანე თავდამსხმელ ზლატკო ზაპოვიჩს, მეორე ბალაშვილს მიაწვებს.

საბუნებრივად, გუშინდელ ვარჯიშზე არაფერს დასველებს. მხოლოდ დეკადე შეაწუხა მხრის ტკივილმა. ექიმებმა ამოიხსნათქეს, მადლობა ღმერთს, დღევანდელი დღე უტრავებოდ ჩამთავრდა, დეკადეს სერიოზული არაფერი სჭირსო — დაეკამშვიდა დიმიტრი ზაალიშვილმა.

გადაწყვეტილი კი ერთია — სლოვენიათან ვერ ითამაშებს არჩილ არველაძე. იგი ისევ შეუძლოდა.

გუშინ ეროვნული ნაკრების ვარჯიშამდე ზუთიოდ წუთით ადრე დილმის ბაზის მინდორი თბილისში ჩამოსულმა

თემურ ქეცბაიამ დატოვა, რომელიც ნაკრებთან ურთიერთობას ერიდება და ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

ახლა კი ახალგაზრდულ ნაკრებზე გუშინ, მოულოდნელად, დილმის ბაზის სათადარიგო მინდორის განაპირას ერთი, ქართველთათვის, ალბათ, ნაცნობი იტალიელი რობერტო ლანდი ჩამოვლდარიყო. ქალაქების დასტა და კალაძე — ლანდი ყურადღებით აკვირდებოდა იმნაძეს და მის შეგირდებს. გუშინ, საღამოს ექვს საათზე, რობერტო ლანდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა სამომავლო ურთიერთობების გასარკვევად. რა თქვეს ჟორდანამ და ლანდიმ მას ხვალინდელ „სარბიელში“ იხილავთ. გუშინ კი მხოლოდ ის შეეიტყვეთ, რომ მერაბ ჟორდანია საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელ-ფეხბურთელებს შეხვდა, წარმატება უსურვა და გაამხნევა, თქვენი იმედი გვაქვსო...

დღეს კი, მეტოქე თბილისს გვესტუმრება. სლოვენელებს თვითმფრინავის დაშვების დროც კი ზუსტად შემოუთვლიათ — 13 საათსა 50 წუთზე თბილისში ვიქნებითო. დღესვე 20 საათზე კატანჯის შტაბში ჩვენს ეროვნულს დაჯანსაღებენ, ახალგაზრდები კი 8 საათზე „შეგარდენის“ ვაზონს მოსინჯავენ.

კობა ინასარიძე

ვლადიმერ გუცაევი



ვლადიმერ გუცაევიმ დღეს ყველაფერი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს

## ვის აირჩევს გუცაევი სასვალოდ?

არაჰის ეგონოს, თითქმის ვლადიმერ გუცაევის კომპეტენციაში ვიჭრებოდეთ. ეს არასდროს გვიფიქრია. უბრალოდ, კვირაზე მეტია, ეროვნული გუნდის წვრთნას ვადევნებთ თვალს და ჩვენებურთა მზადყოფნის შესახებ გარკვეული აზრი ჩამოგვიყალიბდა. მართალია, ზუთი ლეგიონერი სულ რაღაც სამი დღის წინ ჩამოვიდა, მაგრამ მათი სათამაშო კონდიციების შესასწავლად ორიოდ ვარჯიშიც საკმარისი იყო. ჩვენ ისინი უკეთესებიც გვინახავს.

ეროვნული გუნდის სარბიელისეული ვარიანტიც სწორედ ჟორდანისტების შეფასების ნაყოფია. ქვემოთ შევცდებით ჩვენი არჩევანი დავასაბუთოთ, დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს, მათ აზრსაც სიამოვნებით გავეთვალისწინებდით. ვლადიმერ გუცაევმა კი თავისი საქმე უჩვენოდაც კარგად უწყის.

უკვე შეაჩვენებდით, კარის დაცვა სოსო გრიშკაშვილს ვანდეთ, მეკარეს, რომელმაც უკრაინასთან ერთადერთი შეცდომა დაუშვა, მაგრამ იმ ერთმა დანარჩენი კარგი გააუფასურა. სოსოს კონოვალოვის საბედისწერო დარტყმა ადვილად უნდა აეღო.

მიუხედავად ამისა, გუცაევის განკარგულებაში მყოფი მეკარეებიდან ყველაზე უკეთ ის გამოიყურება და თავდადებითაც ვარჯიშობს. დავით ჯანელიძეს ამგვარ მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება არ გააჩნია. აკაკი დევაძე კი... ჩვენ გვანსოვს ნაკრების ცალხელა მეკარე, ისიც გვანსოვს, ტირანადან სამი ქულა ლამის მარტომ რომ წამოიღო, მაგრამ ერთ დროს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი დევაძე ახლა ჩვეულ ფორმაში ვერ უნდა იყოს.

დაცვა ნაკრებში ის რგოლია, რომელსაც სლოვენიათან უმნიშვნელო უზუსტობის დაშვებაც ეკრძალება. კატანჯის გუნდი ამას არ გვაპატიებს, ამიტომაც შევარჩიეთ ეს ფეხბურთელები, ვისაც გარკვეული გამოცდილება გააჩნიათ ამ ამპლუაში. ცენტრში კალაძე და თარხნიშვილი ვარჩიეთ. ბოლო დროს გუცაევი სწორედ ჯაჭვურად მოთამაშე უკანა ხაზს ირჩევს, რომელიც უფრო საიმედო იქნება, თუ კობიაშვილი მარჯვენა ფლანგზე ითამაშებს. თან ლევანი ცენტრშიც ხშირად შეიწყვეს და საჭიროებისამებრ სა-

ყრდენ ნემსაძესაც მივხმარება, მის ადგილს კი რატი ალექსიძე დაიჭერს.

ცალკე გამოვყოთ გიორგი ბალაშვილი. თუ მის კოზირს, საკუთარ ნახევარზე საიმედო თამაშს, გავეთვალისწინებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ გიორგი სლოვენელებთან ყველაზე საშიშ ფორვარდს პერსონალურად აედევნება. ზაპოვიჩის თამაშიდან გამოთიშვა მისი და ნაკრების წარმატების გასაღები იქნება.

ნახევარდაცვაში ორი კაცი უკვე ვახსენეთ. რატი ალექსიძე და გიორგი ნემსაძე მიხეილ ყაველაშვილთან ერთად ის ფეხბურთელები იქნებიან, რომელთა ზურგზეც გადავიდის „მაგი და თეთრი“ სამუშაოს უდიდესი ნაწილი. წინ და უკან შეუსვენებელი სირბილი, მეტოქისთვის ბურთის ართმევა და პასებით თავდამსხმელთა მომარაგება ურთულესი იქნება.

მიშა ყაველაშვილის მარცხენა ნახევარმცველად გამწესება შეიძლება ბევრმა უცნაურობაში ჩაგვითვალოს, მაგრამ ჩვენი ასეთი გადაწყვეტილება ფოცხვერიას მოულოდნელმა ტრავმამ გამოიწვია და მასაც თავისთვის ასე თუ ისე ნაცნობ ადგილზე არანაკლები სარგებლის მოტანა შეუძლია.

დაგვრჩა გოჩა ჯამარაული. მას პასი და დარტყმის სიზუსტე არ დაეწუნება, დრიბლიორიც ჩინებულა და ღრმად გეწამს, რომ იგი მხოლოდ მოედნის ცენტრში დგომით არ შემოიფარგლება და გუნდისთვის ნაყოფიერად გაირჯება. მისგან ველოთ ილიდრობას. მან გუნდის თამაში უნდა წარმართოს და ამას ალბათ მოახერხებს.

გუცაევი ორი თავდამსხმელი თამაშის პრინციპს არ ღალატობს. წინ ყველაზე უკეთესებად გიორგი დემეტრაძეს და ზაზა ჯანაშიას მივიჩნევთ. ამათზე უკეთეს ფორმაში ახლა ვერავინაა. გატანა კი ორივეს შეუძლია და მატჩის მსვლელობისას ისინი მორიგეობით გაცვლიან პოზიციებს. ორივე მებრძოლია, ფიზიკურად ძლიერებს და სწრაფებს ერთი მცველის მოტყუება არ გაუჭირდებათ.

სულ ეს არის. დანარჩენებზე რა ვთქვათ, ზოგი ტრავმირებულია, ზოგიც ფორმაში ვერ არის, მაგრამ თამაში 90 წუთის მანძილზე გრძელდება, სათადარიგოთა სკამზე გამწესებულნი ყოველ წუთს მზად უნდა იყვნენ პარტიოთა შესაცვლელად.



მიხეილ ფოცხვერია (№11)

## საქართველოს ნაკრების ოპტიმალური შემადგენლობა სსსლოვენიოდ

„სარბიელის“ ვერსია				„სარბიელის“ ვარაუდით გუცაევის ვერსია			
ზაზა ჯანაშია	გიორგი დემეტრაძე	ზაზა ჯანაშია	შოთა არველაძე				
რატი ალექსიძე	გოჩა ჯამარაული	ლევან კობიაშვილი	გიორგი ჯამარაული				
	გიორგი ნემსაძე	კახა კალაძე	გიორგი ნემსაძე				
	კახა კალაძე	გიორგი ბალაშვილი	გიორგი ბალაშვილი				
	ლევან კობიაშვილი	მათა თარხნიშვილი	მათა თარხნიშვილი				
	სოსო გრიშკაშვილი	სოსო გრიშკაშვილი	სოსო გრიშკაშვილი				

პარლამენტარი მაჩაიძე ფეხბურთში ღარბა

გუშინ ჩვენს სახელოვან ფეხბურთელს, მანუარ მაჩაიძეს, 50 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის პრეს-კაბინეტი ბილარს გულთბილი შეხვედრა მოუწყო და მიწვეულ სტუმრებს კონტაქტად გაწვდილი შევედურით მადლობა უმასპინძლდა.

გუშინ ჩვენს სახელოვან ფეხბურთელს, მანუარ მაჩაიძეს, 50 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის პრეს-კაბინეტი ბილარს გულთბილი შეხვედრა მოუწყო და მიწვეულ სტუმრებს კონტაქტად გაწვდილი შევედურით მადლობა უმასპინძლდა.



ჯემალ ხერხაძე ქუთაისის "ტორპედოს" გაწვრთნას განაგრძობს

ხერხაძის თავკაცობით, კიკლიაშვილის მონაწილეობით, უგზადეს...

"ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის ჯემალ ხერხაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დარჩეული ხმა ხერხაძის მკაცრად ავისმოსურნეთა მონაწილეობით გამოდგა. როგორც ვიტყვიბინებოდით, "ბათუმთან" ჩემპიონატის მატჩში წაგების შემდეგ ტორპედოელთა თავკაცი მართლაც არ გააკარგებია გუნდს და არცთუ უსაფუძვლოდ აბა, წარმოიდგინეთ, გასულ შაბათს სალონიის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშის ჩასატარებლად მიხულს, ახალი ამბავი დაახვედრეს: "ტორპედოელთა" თავისუფალი ხარო, თანაც ეს სიტყვები კლუბის პრეზიდენტს მიხეილ ქორქიას მიაწერეს. შაბათიდან მოყოლებული ტორპედოელებს ხერხაძის დამხმარები გიორგი აბხანიძე და გელა კიკლიაშვილი ავარჯიშებდნენ. გუშინ კი... გუშინ სიტუაცია შეიცვალა. კლუბის ადგილობრივ მესვეურთა თქმით, პრეზიდენტს დედაქალაქიდან შემოუთვლია, გვერთ ჭორაობა, ხერხაძემ საქმეს მიხედოს, დანარჩენს კი ქუთაისში ჩამოსვლისთანავე გაავრცევთო. გუშინ ტორპედოელებმა მთავარი მწვრთნელის თავკაცობით ივარჯიშეს, თანაც ორჯერ.

დროს არ კარგავთ

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრების გამო ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენება. თუმცა ზოგიერთი ქართული გუნდი დროს უქმად არ კარგავს და ვარჯიშთან ერთად საკონტროლო მატჩებსაც მართავს. გუშინწინ ფოთის "კოლხეთი" სამტრედიას ესტუმრა და "იბერიას" ამხანაგურად გაუცხიდა. ზღვისპირელები იმერეთში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ. ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი — ჩადუნელი, გოროზია და შალამბერიძე აკლდათ. ულიდეროდ, ვასო გვიგაძის გარეშე დარჩენილმა სამტრედიელებმა მისი ტყუპისკალის, სოსო გვიგაძის გოლით პირველი ტაიმი 1:0 მოიგეს. მეორე ნახევარში კი მასპინძელთა უპირატესობა დავით ვარდიაშიღმა ორი უპასუხო ბურთით გამოხატა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა — 3:0 "იბერიას" სასარგებლოდ.

სპორტულ ჟურნალისტთა სააპირადგომად... საქართველოში გადმოვიდა საბავარი... 23 მარტი

მეორე ჯგუფი

Table with match results for Group B, 22nd and 23rd March. Columns include teams (e.g., Dinamo 2, Spartak) and scores.

მეორე ჯგუფი

Table with match results for Group B, 18th and 23rd March. Columns include teams (e.g., Dinamo 2, Saburtal) and scores.



# NZS სლოვენია

## ზაპოვიჩს და კოპანინს საპარტიველოს ნაპრები კონსერვანტად არ მიაჩნიათ

სლოვენის ნაკრების მთავარი მწვრთნელის სრეკო კატანეცის მიერ სათბილისოდ დასახელებული 19 ფეხბურთელიდან 12 ლეგიონერია. თანაც ისინი არცთუ ცუდი ქვეყნების კლუბებში თამაშობენ. საერთოდ, ყოფილი იუგოსლავიელებისთვის ლეგიონერობა უცხო არ არის. ისინი საკუთარ საზღვრებს გარეთ მამინაც კი თამაშობდნენ, როცა სოციალისტურ ბანაკს ეკუთვნოდნენ. ცოტა უხეშად რომ ვთქვათ, იუგოსლავიელი მოთამაშეები ევროპის საფეხბურთო ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე იაფ და ხარისხიან საქონელს წარმოადგენდნენ. ამიტომ, თუკი ქართველები მხოლოდ ახლა სწავლობენ ლეგიონერობის ნაკრების დაკომპლექტებისა და შენების სიბრძნეს, იმავე სლოვენელებმა ეს უკვე იციან და ამ მხრივ, ჩვენებთან გარკვეული უპირატესობა აქვთ.

თბილისში კატანეცის მთავარი პრობლემა „მარიბორის“ დისკვალიფიცირებული მცველის მარინკო გალიჩის არყოფნა იქნება. სლოვენელი მიმოძიებულები აღნიშნავენ, რომ ლიბეროს პოზიციაზე გალიჩი პრაქტიკულად შეუცვლელი მოთამაშეა და მწვრთნელი ახლა რთული ამოცანის წინაშე დგას. საგარაუდოა, რომ ამ ადგილზე კილონელი სპასოე ბულაჩი ითამაშებს.

გალიჩის ყველაზე ფრანგული „ლე ავრის“ ნახევარმცველის ჯონი ნოვაკისა და იტალიური „ატალანტას“ მცველის რობერტ ენგლაროს ტრავმებიც ემატება. დანარჩენები, ყველანი კატანეცის განკარგულებაში არიან.

შეიძლება ითქვას, რომ სლოვენელებს „ავსტრიული“ უკანა ხაზი ჰყავთ. ხუთიდან სამი დამცველი ამ ქვეყანაში თამაშობს. მათ შორის გამოჩენილი ფიგურაა „შტურმის“ 31 წლის მცველი, ნაკრების კაპიტანი დარკო მილანიჩი. მის გვერდით სხვებიც მშვიდად გრძობენ თავს და მწვრთნელები მას „დაცვის დუბლას“ უწოდებენ. იმაზე, თუ როგორ ითამაშებს მილანიჩი, დიდადა დამოკიდებული „მწვანეების“ განწყობაცა და შედეგიც.

ნახევარდაცვის მთავარი ფიგურა „პაიგაძეზე“ „ცრენა ზეზდას“ 22 წლის გამოთამაშებული მილენკო აჩიმიჩი იქნება. ეს ფეხბურთელი ტენიკურთან ერთად ათლეტურიც არის, თავდამსხმელების უკან თამაშობს და გონიერი პასების გარდა თავდაცვ კარგად ეხერხება გატანა. აჩიმიჩიმა შარშან უკვე ითამაშა ქართველების წინააღმდეგ. უფას თასის მატჩში „კოლხეთს“ ფოთში ორი ბურთიც გაუტანა. ფაქტია, მაშინ „ცრენა ზეზდას“ საკმაოდ კარგ გუნდში აჩიმიჩი იუგოსლავიის ნაკრების მთავარ იმედთან, პერიცა ონიენოვიჩთან ერთად საუკეთესო იყო. ერთი გოლი ფოთელებს თავით გაუტანა, მეორედ კი ლამაზი ცრუ მოძრაობით თავგზა აუბნია მეკარე ქვანახიას და ცარიელ კარში შეაგდო.

თავდასხმისა და ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელი კი პორტუგალიის „პორტუს“ 27 წლის შემტევი ზლატკო ზაპოვიჩია. როგორც ამბობენ, ბრანკო ობლაკის შემდეგ, რომელმაც იუგოსლავიის გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა, სლოვენელებს ასეთი დონის ფეხბურთელი აღარ ჰყვლიათ.

შემოდგომაზე, წლებანდელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის სამ შეხვედრაში ზაპოვიჩმა ოთხი ბურთი გაიტანა. თითო „ოლიმპიკოსსა“ და „აიაქსს“ შეუგდო, ორიც ხორვატულ „კროაცისა“. გასულ შაბათს „სალგერიუმთან“ გასვლით მატჩშიც გაიტანა და თავის გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა. თუმცა, თავის თანაგუნდელადმდე, ბრაზილიელ ჟარდელადმდე ჯერ ბევრი უკლია. დღეისათვის პორტუგალიის ჩემპიონატში ჟარდელს 29 ბურთი აქვს გატანილი, ზაპოვიჩის მხოლოდ 8.

„პორტუს“ მწვრთნელი ფერნანდო სანტოსი მაინც ეკაყოფილია თავისი მეგობრის თამაშით: ჩვენ ძალიან საინტერესო პროცესის მომსწრენი ვართ. ზაპოვიჩი თამაშობს თამაშად უმატებს და გომორჩეულ ფეხბურთელად ყალიბდება, ამბობს სანტოსი.

მისი კატანეცისაც სჯერა: თუ ზაპოვიჩი ისევე იქნება დაგეშილი მეტოქის კარზე, როგორც სხვებმა, მაშინ ჩვენს ბელგია-პოლანდიაში წასვლას წინ აღარაფერი დაუდგება, თქვა მწვრთნელმა და ზლატკოს სამივე საშემოდგომო შესარჩევი თამაშის ვარსკვლავი უწოდა. მართალიც იყო, პირველ თამაშში ბერძნებთან (2:2) ზაპოვიჩმა ყველა საუკეთესო თვისება გამოავლინა. ჯერ ანგარიში გახსნა, მერე კი, როცა აგებდნენ, პავლიჩის ჩინებული გადაცემის შეირო და მეკარე ატმაციდისის ოსტატურად გადაავლო თავზე ბურთი. ლიუბლიანაში ნორვეგიელებსაც შეუგდო (1:2) და სამი გოლით ჯერჯერობით ჩვენი ჯგუფის საუკეთესო ბომბარდირია.

ზაპოვიჩის კიდევ ერთი დადებითი თვისება ის არის, რომ ხშირად მოედნის ცენტრისკენაც ჩაინაცვლებს ხოლმე და ბურთის ართმევასა და შეტევის დაწყებაში ეხმარება ნახევარმცველებს.

მაღა ჭამაში მოდისო და ჩვენს არეულ ჯგუფში სლოვენელების მთავარი 4 ქულა არცთუ ურიგო შანსს იძლევა. ზაპოვიჩს რომ ჰკითხოთ, პირველ-მეორე ადგილების დასაკავებლად ნორვეგიელები, ბერძნები და სლოვენელები იბრძობებიან.

თამაში წაგვივინა და ჯგუფიდან გასვლის ჩინებული შანსიც გვაქვსო, ამბობს ზლატკო. როგორც ხედავთ, მას ქართველთა ამბიციები არსად უხსენებია და თუ რამდენად რეალურია ზაპოვიჩისა და კომპანიის არგუმენტები, ამაზე ნაწილობრივ თბილისური მატჩიც გვიპასუხებს.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც შეიძლება ქართველი გულშემატიკრები დააინტერესოს, ჩვენებურების — კობაშვილის, ციტიშვილისა და იაშვილის თანაგუნდელი, გერმანული „ფრაიბურგის“ 27 წლის ნახევარმცველი მირან პავლიჩია. თავის დროზე ლიუბლიანის „ოლიმპიასა“ და დრეზდენის „დინამოში“ ნათამაშები პავლიჩი ფრაიბურგში შარშანწინ ჩავიდა. თავისი ფინიკური მონაცემების წყალობით (სიმაღლე 187 სანტიმეტრი), გუნდისა და ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე გახდა. კატანეცს მისიც ეიმედება და ალბათ, თბილისშიც ათამაშებს.

ასე რომ, სლოვენელებს არც ისეთი ხელწამოსაკრავი გუნდი ჰყავთ, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ისინი ყველაფერს გააკეთებენ თბილისში რომ არ წააგონ. მათ ხომ ბელგია-პოლანდიაში წასვლა გადაუწყვეტიათ.

სოლომონ გულისაშვილი



**მლადენ დაბანოვიჩი**  
მეკარე  
13.09.1971  
რუდარი (სლოვენია)




**მარკო სიმუნოვიჩი**  
მეკარე  
06.12.1967  
შექერსფორი (თურქეთი)



**სპასოიუ ბულაჩირი**  
მცველი  
24.11.1975  
კიოლნი (გერმანია)



**ალექსანდარ კსანსი**  
მცველი  
05.12.1975  
ტიროლი (ავსტრია)



**დარკო მილანიჩი**  
მცველი  
18.12.1967  
შტურმი (ავსტრია)



**ზლატკო მილინოვიჩი**  
მცველი  
12.10.1969  
ლინცი (ავსტრია)




**ალეო ჩაჩი**  
ნახევარმცველი  
7.04.1968  
გრაცერი (ავსტრია)




**რუდი ისტანიჩი**  
ნახევარმცველი  
10.01.1974  
დიუსელდორფი (გერმანია)




**ზლატკო მიტრაკოვიჩი**  
ნახევარმცველი  
30.12.1972  
გორიცა (სლოვენია)




**მირან პავლიჩი**  
ნახევარმცველი  
08.10.1971  
ფრაიბურგი (გერმანია)



**მლადენ რუდონი**  
ნახევარმცველი  
26.07.1971  
სენტ ტრუიდენი (ბელგია)




**მილან ოსტარჩი**  
თავდამსხმელი  
4.07.1975  
ერკულესი (ესპანეთი)




**სასუნ ულოვიჩი**  
თავდამსხმელი  
13.12.1968  
იანგ ბოიზი (შვეიცარია)




**ზლატკო ზაპოვიჩი**  
თავდამსხმელი  
1.02.1971  
პორტუ (პორტუგალია)




**მარინკო გალიჩი**  
მცველი  
22.04.70  
მარიბორი (სლოვენია)



**ამირ კარიჩი**  
31.12.73  
ნახევარმცველი  
მარიბორი (სლოვენია)



**სასუნ გაისარი**  
ნახევარმცველი  
????.??  
რუდარი (სლოვენია)



**ზორან პავლოვიჩი**  
ნახევარმცველი  
????.??  
რუდარი (სლოვენია)



**მილანკო არიშოვიჩი**  
15.02.77  
ნახევარმცველი  
ცრენა ზეზდა (იუგოსლავია)

1998 წელი.  
კოლხეთი — ცრენა ზეზდა.  
აჩიმიჩი „კოლხეთს“  
ფოთში ორი გოლი გაუტანა

ბადრი კეთილშამს ფოტო













ორ ვაშინგტონურში ატლანტიკურმა იმარჯვა

24 მარტი

სიახლე 92:96 ვაშინგტონი

სიეტლი: პიტონი (27 ქულა, 10 მოხსნა), პოკინსი (7), ლუენსი (15), შრე...

ვაშინგტონი: სტივონსი (10 ქულა, 14 პასი), რიჩმონდი (30), პოვარდი...

იყო დრო, ვაშინგტონი სიეტლს ვერც გაუტოლებოდა. დედაქალაქელებს 70-...

და აი, ვაშინგტონმა სიეტლში პირველად მოიგო ზედიზედ 18 მარცხის...

მატჩში ფაგორიტად უფრო ვესტფოლის ბიჭები მიიჩნეოდნენ, რადგან მიუხე-...

24 მარტი

ვანკუვერი 90:95 ფილადელფია

(ძირითადი დრო 84:84)

ვანკუვერი: მანინგერი (20), ბიბი (20)

ქულა, 9 პასი)

ფილადელფია: აივერსონი (34)

ამ შეხვედრაში ბევრი ელოდა ლიგის პირველ ბომბარდირ ალენ...

კლიპერსი 80:92 გოლდენ სტიტი

კლიპერსი: ტილორი (23)

გოლდენ სტიტი: ჯემისონი (22)

კლიპერსის მიერ 1998 წლის დრაფტში პირველ ნომრად არჩეულ ახალ...

დალასი 78:88 პელსონი

დალასი: ბრედლი (20 ქულა, 13 მოხსნა, 8 დაფარება)

პელსონი: პოლანკოვიჩი (24)

მოულოდნელად თავი გამოიღო მასპინძელი ატლანტიკური კონფერენცია...

მილუოკი 76:84 აიახა

მილუოკი: რობინსონი (17)

აიახა: პარკინსონი (22), მურნიცი (19)

ქულა, 21 მოხსნა, 5 დაფარება)


„მილუოკი ბაქსს“ არც ცენტრი ჰყავს ზეირიანი და გამომავალ...

საკრამენტო 92:91 ნიუ იორკი

საკრამენტო: მაქსველი (19)

ნიუ იორკი: იუნგეი (23 ქულა, 14 მოხსნა)

საკრამენტოს იუგოსლავიელი ცენტრი ვლადი დევიაცი (18 ქულა)...



ლეიკერსი — ფინიქსი. მასპინძელი დერიკ ფიშერი (№2) ვერ გაუმკლავდა ფინიქსელ ტომ გულიოტას

Table with columns for player names and statistics (pts, reb, ast, stl, blk, fg%, ft%, trp%).

Table titled 'საბჭოთა ქვეყნების ლიგის ლიგის ფინიქსი' showing team statistics.

Table titled 'საბჭოთა ქვეყნების ლიგის ლიგის სიეტლი' showing team statistics.

Table titled 'საბჭოთა ქვეყნების ლიგის ლიგის აიახა' showing team statistics.

ატლანტა 103:102 ინდიანა

ატლანტა: სმიტა (25), მუტომბო (19)

ქულა, 14 მოხსნა)

ინდიანა: მილერი (26)

ინდიანა კი იგებდა, მაგრამ მუკი ბლეილოკმა (14 ქულა) მატჩის და...

შარლოტი 110:81 ჩიკაგო

შარლოტი: მილერი (25)

ჩიკაგო: სიმპსონი (20)

შარლოტის ახალბედა ბრედ მილერმა პატარა გემოვნა ჩაიდინა...

ნიუ ჯეისი 71:84 დეტროიტი

ნიუ ჯეისი: ვან პორნი (27 ქულა, 10 მოხსნა)

დეტროიტი: დელი (18)

დეტროიტმა ჯერ კიდევ მასპინძელი ტომი მანინგის მარჯობა მეტოქეს...

ატლანტა 68:87 ინდიანა

ატლანტა: ანდერსონი (16)

ინდიანა: სკოტი (22), გარნეტი (22)

ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი)

ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდ ბოსტონს თავისი ლიდერების — ანტუან ვოლკერის და პორ...

ლეიკერსი 104:106 ფინიქსი

ლეიკერსი: ბრაიანტი (25), ინილი (24)

ქულა, 10 მოხსნა)

ფინიქსი: რობინსონი (26), კიდი (23)

ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

„ლოს აჯელეს ლეიკერსმა“ პირველად წააგო როდმანთან ერთად...

მაკილანი მუდმივია

„სმიტლ სუპერსონიქსმა“ დიდი პატივი მიაგო თავის ყოფილ მთავარს...

მაკილანი ნამდვილად ამგვარი აღიარების ღირსი პროფესიონალი კარიერის დასაწყისიდან და დღემდე იგი სიეტლის ერთგულია...

მაკილანი „სუპერსონიქსის“ ყველა დროის ლიდერია პასებსა და ჩაჭრებში. იგი ორჯერ იყო დასახელებული ერთგული საკალათბურთო ასოციაციის „დაცვის სტუდენტში“...

„სიეტლ სუპერსონიქსის“ ხელმძღვანელობამ მაკილანს აღნიშნულ ცერემონიაზე 30 ნათესავი და ყველა ყოფილი მწვერთელი დაუპატიჟა...

მაკილანის გარდა აქამდე მუდმივი ნომერი ორ სიეტლსს ჰქონდა: ლენი ვილკინსი (№19) და ფრედ ბრაუნს (№32).



ნეთი მაკილანი (მარცხნივ), 10 წლის ვაჟ ჩამეტთან ერთად საკუთარი მისიური აფრიალებას უცქერს









კალათბურთი. ვეროლიზა. მიოთხედიანალი. მიორე პატრეპი

ფაზსი 70:84 ჟალგირისი  
ჟალგირისმა სერია 2:0 მოიგო  
რეალი 65:76 ტიმისისტაში  
ტიმისისტემა სერია 2:0 მოიგო

კინდარი 93:75 პო ორბაზი  
სერიის ანგარიშია 1:1  
ვილარაანი 77:81 ოლიმპიკოსი  
ოლიმპიკოსმა სერია 2:0 მოიგო

აბა, ებენი  
იყვანე...

ბერმანელემა მიუნხენში  
თავიანთი ოლიმპიური „დიდების  
დარბაზი“ გახსნეს. საზეიმო  
ცერემონიალს სხვა ღირსეულ  
ადამიანთა შორის, მსოფლიო  
ოლიმპიზმის კაპო დი ტუტი კაპი  
— ხუან ანტონიო სამარანჩიც  
დაესწრო... ფოტოზე  
გერმანელთა მახვილი, ვალტერ  
ტრიოგერი (მარცხნივ) თავის  
ბოსს წარსულის მავან ღირსეულ  
კადრზე მიუთითებს და — აი,  
ბიჭები ეგენი იყვნენ,  
თუ იყვნენო — ეუბნება.



REUTERS მიუნხენიდან

ბჭენი ბელანოთ, ბიჭებო!



REUTERS პარიზიდან

ავსტრალიელ  
მოკრიკეტოთა ნაკრები  
ამჟამად ბრიჯტაუნში  
იმყოფება და ვესტ  
ინდოეთთან ფრენკ  
უთრელის ვილდოსთვის  
შესარკინებლად ბუდრაობს.  
ავსტრალიელთა კაპიტანი  
სტივ უოფი ვარჯიშისა და  
რამე-რუმისაგან  
თავისუფალ დროს,  
ბარბადოსელი  
ბავშვებისთვის კრიკეტის  
ანაბანას ახსნით ერთობა...  
დემეტმა მრავალი ბჭე  
დაგაღვიწით დიდი  
კრიკეტის კარიბჭესთან  
მდგომო ბრიჯტაუნელთ  
ბიჭუკელებო!




REUTERS სტამბოლიდან

ფეფსი — ჟალგირისი. უფუკ სარიჯა (№15) ამაოდ  
დაშვრა ჟალგირისელი ფურელიუს ჟუკაუსკაისის წინააღმდეგ

ესეც გურულის ფიგურული!



თავისუფლად, ეშხიანად, ვენები-  
ანად. აი, ასე დასრიალებდნენ ჰე-  
ლისინკის ყინულზე ანტონ სიხა-  
რულიძე და ელენა ბერეჟინაია. და  
მერე რა, რომ ერთხელ ელენას  
თავისი მოხდენილი ფეხები წაუ-  
ცდა?! განა მათ უკან ადევნებულ  
ჩინელებს, ხუ შენსა და ჟაო პო-  
ნგბოს არაფერი შეშლიათ?! — შე-  
შლიათ, როგორ არ შეშლიათ, და  
ამ უბრალო მიზეზის გამო ოქროს  
მედლები და შენარჩუნებული  
ტიტული — ანტონსა და ელენას,  
დანარჩენი კი — ხუსა და ჟაოს,  
ისევე როგორც დოროტა ზაგორ-  
სკასა და მარიუმ სიუდეკის პო-  
ლონურ ნყვილს. აი ეგრე!



REUTERS პელსინგიდან

ახლახან სლო-  
ვენის სამთო კუ-  
რორტ პლანიცაში  
ტრამპლინიდან  
მსტომელებმა წლებანდელი მსოფ-  
ლიოს თასის ბოლო, ფინალურ ეტა-  
პზე იასპარეხეს, თასის მფლობე-  
ლიც გამოავლინეს და რთული სე-  
ზონით დაღლილ-დაქანცულეებმა  
დასასვენებლად შინ გასწიეს. შინ გა-  
ემგზავრა, უფრო სწორად კი, ნაიყ-  
ვანეს რუსი ვალერი კობელევიც,  
რომელიც გუმინ ლუბლიანის საა-  
ვადმყოფოში გონს მოსულა და ექი-  
მებსაც ნება დაურთავეთ, მშობლი-  
ურ რუსეთს და-  
ბრუნებოდა. გე-  
ხსომებათ, კო-  
ბელევისთვის  
პლანიცის ტრამპლინი ტრაგიკული  
რომ გამოდგა. ერთ-ერთი ვარჯი-  
შისას მას ფეხსაცმლის სამაგრებმა  
უმტყუნა და მინაზეც საშინლად და-  
ენარცხა. შედეგი მართლაც სავა-  
ლალო იყო — კისრისა და ფეხის მო-  
ტეხილობა. სლოვენელმა ექიმებმა  
გონსმოსული კობელევი შინ კი გა-  
ისტუმრეს, ოღონდ იმას ვერ ამბო-  
ბენ, გაივლის თუ არ ოდესმე რუსი  
მეტრამპლინე.



REUTERS სიდნიდან

მე, ქაო, თეგზაობა პირჩეპნია

სიდნიში 2000 წელს ზაფხულის ოლიმპიადას უნდა უმასპინძლოს. პოდა,  
ერთი იქაური კანტორა თანამოქალაქეებს რეგულარულად მიმართავს ერთი და  
იმავე კითხვით — როგორ მოიქცევით ოლიმპიადის მსვლელობისას? გუშინდ-  
ლამდე იმ სიდნიელების რიცხვი, ვინც თამაშებზე დასწრებას არჩევდა, ნიადავ  
აღმებტებოდა იმასთან, ვისაც ოლიმპიურ რია-რიას სანაპიროზე ყოფნა და,  
ვთქვათ, თეგზაობა ერჩიათ... მაგრამ, აი, გუშინ, ძალთა შეფარდება შეიცვალა  
და თეგზაობის მოყვარულებმა ორი ბარაქიანი პროცენტით გადაასწრეს ქალა-  
ქში დარჩენისა და სტადიონებზე ჩახარშვის მოსურნეთ.

**სარბიელი**  
საორტული გაჯეთი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამზაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერია  
დირექტორი გიორგი ოქროშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი  
ავთანდილ გურასაშვილი  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პასტანა ბზიკაძე  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძე  
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე  
გოგიშვილი, სოლომონ გულიასაშვილი, გიორგი ვაშაყიძე, კობა  
ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო  
ოქროპირიძე, ონისე შინგიაკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირა-  
კლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე,  
აუთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება ვიო ახვლე-  
დიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში თუზა  
კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღუაშვილი, ბადრი  
კეთილაძე სტილისტები მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობი-  
ანი კომპიუტერული ცენტრი ელენე ველუტაშვილი, ნინო დე-  
ვაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი,  
ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ  
ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა  
ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი,  
ალექსანდრე ყაზბეგის  
ბაგაზირი 42, II კორპუსი,  
IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი:  
თბილისი — 79,  
საზოგადოებრივი შუბი 208.  
ტელეფონი: 39 48 29